საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოფრჩხილა

კოფრჩხილა (Falcaria), მრავალ-, ორ- ან ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. 4–5 სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში და ჩრდ. აფრიკაში. კავკასიაში იზრდება შუა სარტყლამდე. საქართველოში მხოლოდ 1 სახეობაა – ჩვეულებრივი კ. (F. vulgaria), რ-იც 2–60 სმ სიმაღლის ორწლოვანი ბალახია. გვხვდება მშრალ მდელოზე, ქვიან ფერდობზე, ტყის პირას, ველზე, გზის პირას. ნათესების (ძირითადად საგაზაფხულო კულტურების) სარეველაა. მოხარშულ ნორჩ ფოთლებს იყენებენ საკაზმად, მხლად ან ამწნილებენ.